# თბილისი 10 წლისაა

10 წელი შესრულდა იმ დღიდან, რაც გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანოს — გაზეთ „თბილისის" პირველი ნომერი. 10 წელია გაზეთი კვალდაკვალ მიჰყვება ცხოვრებას. იგი გახდა თავისი ქალაქის ნამდვილი მატიანე. მის ფურცლებზე თბილისელები გაეცვნენ ქალაქის ბევრ მოწინავე ადამიანს, წარმოების ნოვატორებს. გაზეთი ყოველდღე ელაპარაკება თავის მკითხველებს მათთვის საინტერესო საჭირბოროტო თემებზე. ამიტომ მკითხველებს იგი მიაჩნიათ თავიანთ ერთგულ მეგობრად და მრჩევლად.

თბილისელებმა ზეიმით აღნიშნეს თავისი გაზეთის იუბილე. ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში გუშინ გაიმართა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „თბილისის" პირველი ნომრის გამოსვლის 10 წლისთავს. თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი, წარმოების მოწინავე მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ჟურნალისტები, ახალგაზრდობა.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ კ. ცქიტიშვილმა წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მისალმება „თბილისის" რედაქციისადმი.

მოხსენება გაზეთ „თბილისის" 10 წლისთავის შესახებ გააკეთა მისმა რედაქტორმა ნ. ჯაშმა.

იუბილარს მიესალმნენ გაზეთის მუშა-კორესპონდენტი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი ე. სოლომონია, გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას" პასუხისმგებელი მდივანი ვ. შევცოვი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი შ. ძიძიგური, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი ი. ნონეშვილი, გაზეთ „ვეჩერნი ტაშკენტის" რედაქტორი [illegible], სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, გაზეთ „ბაქოს" რედაქტორი ნ. იმანგულიევი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორი შ. გაგოშიძე, გაზეთ „ვეჩერნი ერევანის" რედაქტორი ს. ავეტისიანი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორი პ. ასლანიდი.

კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი.

(საქინფორმი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 15 (3499) 23 1968 წ. იანვარი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


# კობა წაქაძის შანსები

13–14 იანვარს გორკში უნდა გამართულიყო სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი ტრამპლინიდან ხტომაში. ბედის ყველა მაძიებელმა ამ ვოლგისპირა ქალაქში მოიყარა თავი, ვინაიდან აქ თამაშდებოდა მედლების სრული კომპლექტი და გრენობლის საგზურები. მაგრამ...

„მფრინავ მოთხილამურეებს" იმ დღეებში ბედი არ სწყალობდათ: ქარიშხალსა და თოვაში ტურნირის გამართვა შეუძლებელი იყო, სასიკეთო ამბავს არც ამინდის ბიურო იტყობინებოდა, ნაკრებსა და მის ხელმძღვანელებს კი საერთაშორისო ტურნირზე აგვიანდებოდათ. ჩემპიონატი 10–11 მარტისთვის გადაიტანეს და გუნდმა გეზი ჩეხოსლოვაკიისკენ აიღო. ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გრიგასმა თან წაიყვანა ვ. ბელოუსოვი, ა. ჟეგლანოვი, პ. კოვალენკო, ა. ივანიკოვი, კ. წაქაძე. მათ გარდა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებად ჩარიცხა გ. ნაპალკოვი და ვ. სმირნოვი.

უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ნაკრების ახალი ხელმძღვანელის სიმპათია უმეტესად ნაპალკოვის, სმირნოვის, ბელოუსოვისა და ჟეგლანოვის მხარესაა. ესენი უფრო ახალგაზრდები არიან, თანაც, მწვრთნელის აზრით, არც გამბედაობა და ტექნიკა აკლიათ. გრიგასი კმაყოფილია, რომ გუნდის ახლანდელი შემადგენლობა თანაბარია და სპორტსმენებს რანგის მიხედვით ვერ გაანაწილებ. მიუხედავად ამისა, მწვრთნელს საბოლოოდ მაინც მოუწევს თქვას, ვინ უფრო საიმედოა და ვინ — შედარებით სუსტი. გორკში, მწვრთნელთა თათბირზე უკვე შეთანხმდნენ, რომ გრენობლში წაიყვანონ ის 4 ძირითადი და 1 სათადარიგო მხტომელი, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიჩენენ თავს ჩეხოსლოვაკიასა და გდრ-ში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში.

გრიგასი უკმაყოფილოცაა: კიროვსკში ჩატარებული ასპარეზობის შემდეგ (კ. წაქაძემ ამ შეჯიბრებაში, მართალია, IV ადგილი დაიკავა, მაგრამ ყველაზე შორს — 104 მეტრზე გადახტა) დაგეგმილი ტურნე სვერდლოვსკის, გორკისა და ალმა-ათის ტრამპლინებზე თოვლის უკმარობის გამო ვერ გამართეს. ყველაზე მეტად გულდასაწყვეტი ისაა, რომ ბაკურიანის ტრამპლინის მშენებლობა ვერ დასრულდაო, ამბობს ნაკრების მწვრთნელი.

როგორც ჩანს, გრიგასი დიდ იმედებს ამყარებდა ბაკურიანის ტრამპლინზე. ეს ტრამპლინი ერთადერთია სსრ კავშირში, რომელიც თავისი პროფილით ოლიმპიურს ჰგავს.

ჩეხოსლოვაკიაში დაწყებული ტურნირის I ეტაპზე უკვე ვწერდით. „მეგობრობის თასის" გათამაშების II ეტაპზე, რომელიც ტატრების მთიანეთში გაიმართა, სსრ კავშირის სპორტსმენებმა ისახელეს თავი. ლენინგრადელი ბელოუსოვი ყველაზე შორს (98,5 მ) გადახტა და ტრამპლინის რეკორდი დაამყარა, მაგრამ მეორე ცდაზე წაიფორხილა და 208,3 ქულით საბოლოოდ VI ადგილს დაჯერდა. პირველობა მოიპოვა მასპინძელთა წარმომადგენელმა ი. რაშკამ, რომელიც ჯერ 93,5, შემდეგ კი 91,5 მეტრზე გადახტა და საბოლოოდ 222,5 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა ჟეგლანოვმა — 217,2 ქულა (93 და 95 მ), III — კოვალენკომ — 213,6, (90,5 და 93,5). წაქაძე V ადგილზეა — 210,9 (91 და 90 მ.).

წავა თუ არა გრენობლში ბაკურიანელი „მფრინავი მოთხილამურე", ეს მასზეა დამოკიდებული. საკმარისია ასევე წარმატებით იასპარეზოს სხვა ეტაპებზეც, საბჭოთა სპორტსმენებს შორის საბოლოოდ V ადგილი მაინც დაიკავოს და წაქაძე უკვე მეოთხედ მიიღებს მონაწილეობას ზამთრის ოლიმპიადაში. ეს თავისებური მსოფლიო რეკორდია.

# ისევ მსოფლიო რეკორდები!

სულ უფრო ახლოვდება ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში, შემდეგ კი მოციგურავეები წლევანდელი წლის ძირითად ასპარეზობაში — ზამთრის X ოლიმპიურ თამაშებში გამოვლენ.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოციგურავეებისგან გაძლიერებულ სამზადისს მოითხოვს. და აი, ამ პერიოდში ბევრმა მათგანმა არა მარტო პირადი და თავისი ქვეყნის რეკორდები გააუმჯობესა, არამედ მსოფლიო რეკორდიც დაამხო.

აი, გუშინწინაც ახალი მსოფლიო რეკორდების დამყარება გახდა ცნობილი: 28 წლის გ. ტრაუბმა (გფრ) ინცელის ხელოვნურ საციგურაოზე გააუმჯობესა ნორვეგიელი ე.-ს. სტიანსენის ამასწინანდელი მსოფლიო რეკორდი მრავალჭიდში — 176,982 ქულა. გერმანელის შედეგია 176,717 ქულა. აი, ტრაუბის მაჩვენებლები ცალკეულ დისტანციებზე: 500 მ — 41,8, 5000 მ — 7.40,2, 1500 მ—2.05,6 (სეზონის საუკეთესო შედეგი მსოფლიოში), 10.000 მ—15.42,6.

მეორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ნორვეგიელმა ფ.-ა. მაიერმა: თავისი ქვეყნის პირველობაზე საციგურაო მარათონში (10.000 მ) მან აჩვენა 15.29,5.

სპორტის ოსტატი დიმიტრი მინდიაშვილი 15 წელიწადს მსახურობდა ციმბირში. ამას წინათ იგი კრასნოიარსკიდან სამშობლოში დაბრუნდა და ქართველ მეტალურგთა ქალაქ რუსთავში დასახლდა. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა მოჭიდავეთა დაოსტატების საქმეს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: დ. მინდიაშვილი (მარჯვნივ)ავარჯიშებს ახალგაზრდა სპორტსმენებს მ. ჯანდიერსა და ვ. ანდიაშვილს.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.



# პირველი „ოქრო"

ინსბრუკი, 22 იანვარი. ლენინგრადელი სტუდენტი ვლადიმერ კურენბინი უნივერსიადის ჩემპიონი გახდა ფიგურულ ციგურაობაში. მან ისეთი ცნობილი სპორტსმენები ჩამოიტოვა, როგორც მ. ფილცი (ჩეხოსლოვაკია) და გ. ანდერლია (ავსტრია). სტუდენტთა მსოფლიო თამაშებში ეს კეთილი სტარტი ერთეულთა სრიალში საბჭოთა ფიგურისტების ყველაზე დიდი მიღწევაა ჯერჯერობით.

ვ. კურენბინმა ტემპერამენტით შეასრულა რთული, მათ შორის, სამმაგი ხტომებით აღსავსე ორიგინალური ნებისმიერი პროგრამა. სახეგაბრწყინებულმა გამარჯვებულმა მიიღო ოქროს მედალი, ყვავილები, უამრავი მილოცვა და დღეს, სხვებთან ერთად, გაფრინდა შვეციის ქალაქ ვესტეროსში. სწორედ ამიტომ ფიგურისტთა შეჯიბრებები როგორღაც მეტისმეტად ჩქარა ჩაატარეს: ერთ დღეს — გუშინ ნებისმიერი პროგრამით ყველანი გამოვიდნენ — ერთეულთა სრიალის ოსტატებიც, წყვილებიც, მოცეკვავენიც.

ოქროს პირველი მედლები მოიხვეჭეს, აგრეთვე: ქალთა შორის — ოსაკას უმაღლესი სავაჭრო სკოლის სტუდენტმა კუმიკო ოკავამ, წყვილთა შორის — ჩეხოსლოვაკიის ექს-ჩემპიონებმა, და-ძმამ ბოჰუნკა და იან შმარეკებმა, ცეკვებში — ავსტრიის ჩემპიონებმა ჰაიდე მეზგერმა და ჰერბერტ როტკაპლმა. ცეკვებში სულ ორი წყვილი ასპარეზობდა, ასე რომ, დიანა და მარტინ სკოცნისკიებმა (ჩეხოსლოვაკია), რომლებიც სულ 0,2 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულთ, ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ერთეულთა სრიალში VI ადგილზეა ტ. მოსკოვსკაია, IX — ი. კორნევა, VII — ი. ოვჩინიკოვი, VIII — ვ. სერებროვსკი, წყვილებში: II — ტ. შარანოვა და ა. ევდოკიმოვი, III — ლ. სუსლინა და ა. ტიხომიროვი.

• • •

1969 წლის ზაფხულის უნივერსიადა გაიმართება ლისაბონში 21 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, — ასე გადაწყვიტა საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აქ მიმდინარე სესიამ.

# გუშინ...

თბილისში გაიმართა ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის XVI პარტია. ბრძოლა ანდრეიკოს უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ 65-ე სვლაზე მაინც ყაიმით დასრულდა. მატჩის ანგარიშია 8,5 : 7,5 კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს შედგება XVII პარტია. თეთრებით თამაშობს კუპერმანი.

# ხუთისთვის ხაზი...

◆ ბევერვეიკი, 22 იანვარი. აქ მიმდინარე საჭადრაკო ფესტივალის მთავარ ტურნირში კვლავ მტკიცედ ლიდერობს ლენინგრადელი კორჩნოი, რომელსაც 10 ტურის შემდეგ 9,5 ქულა აქვს. X ტურში მან ფარ-ხმალი დააყრევინა იუგოსლაველ დიდოსტატ ჩირიჩს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი როსოლიმო და პორტიშთან (უნგრეთი), გეორგიუსთან (რუმინეთი) და ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია) „კომპანიაში" II-V ადგილებს იყოფს. ეს ოთხეული ლიდერს სამნახევარი ქულით ჩამორჩება. ქალთა ტურნირში 6 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულით დაწინაურდნენ პიატიგორსკელი კოზლოვსკაია და ჰოლანდიელი ვრეკენი.

◆ პრაღა, 22 იანვარი. მაღალ ტატრებში „მეგობრობის თასზე" გამართული „მფრინავ მოთხილამურეთა" საერთაშორისო შეჯიბრების დასკვნითი, III ეტაპი მოიგო ლენინგრადელმა ვ. ბელოუსოვმა — 233.5 ქულა. იგი ერთადერთი იყო, ვინც 100-მეტრიანი ზღუდე გადალახა (99,5 და 101 მ). პირად ტურნირში პრიზის მფლობელი გახდა ი. რაშკა (ჩეხოსლოვაკია), გუნდურ ჩათვლაში კი ყველას აჯობეს საბჭოთა მხტომელებმა.

◆ ბუქარესტი, 22 იანვარი. ლენინგრადის ასკ-ს ჰოკეისტთა გუნდმა დაისაკუთრა რუმინეთის დედაქალაქის თასი. დასკვნით მატჩში სტუმრებმა დიდი ანგარიშით სძლიეს ადგილობრივ პირველ ნაკრებს — 12 : 1.

◆ ბეირუთი, 22 იანვარი. ერევნის „არარატის" ფეხბურთელებმა აქ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს სომხური კლუბების ნაკრები. გოლების ავტორები არიან კოვალენკო, მელქუმოვი და კაზარიანი.


კეთილი სტარტი ინსბრუკში 1-ლი გვ.

სტუდენტებს — საჭადრაკო გამოცდა მე-2-მე-3 გვ.

6 მარტს და არა 28 თებერვალს... მე-4 გვ.

# სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებ
# ცენტრალური საბჭოს V

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილის
## თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მშრომელები დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ მთელი პროგრესული კაცობრიობის ზეიმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

განვლილ წლებში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ყველა პირობა საბჭოთა ადამიანის კომუნისტურად აღზრდის უდიდესი ამოცანის გადასაწყვეტად, საბჭოთა ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული მაღალი იდეურობა, სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ფიზიკური კულტურა და სპორტი კომუნისტური აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა იყო საბჭოთა სპორტის შესანიშნავი დღესასწაული, რომელმაც დამაჯერებლად დაადასტურა სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობა და ძმური, ურღვევი მეგობრობა. მან ასახა სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებები ამ 50 წლის მანძილზე, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ზრდა; თვალნათლივ გვიჩვენა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება. სპარტაკიადა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა სპორტსმენების მზადებისა 1968 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.

პლენუმი აღნიშნავს, რომ სპარტაკიადამ გვიჩვენა ფიზკულტურული მოძრაობის მზარდი მასობრიობა, რაც სპორტკავშირის საბჭოების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების შედეგია. საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრებები ჩატარდა საწარმო-დაწესებულებათა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა, სკოლების, სასწავლო დაწესებულებებისა და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების 170 ათას კოლექტივში. კოლექტივების უმეტესობაში სპარტაკიადებმა უზრუნველყო მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის აღმავლობა. სპარტაკიადებმა ხელი შეუწყო სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანების სულ ახალ-ახალი ჯგუფების აქტიურად ჩაბმას ფიზკულტურულ მეცადინეობაში. სპარტაკიადამ გვიჩვენა მზარდი პოპულარობა მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ისეთი ფორმებისა, როგორიცაა „ტრუდის" (რსფსრ) ფიზკულტურელების „ჯანმრთელობის სპარტაკიადა", სპარტაკელთა სპარტაკიადა „მხნეობა და ჯანმრთელობა", როგორიცაა, მოსწავლეთა შეჯიბრებები „ტყავის ბურთისა" და „ოლიმპიური გაზაფხულის" პრიზზე.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადამ ხელი შეუწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში რეგულარულად მომეცადინეთა რიცხვის ზრდას. მაგალითად, მძლეოსნობაში შეჯიბრება ჩაატარა 150 ათასმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, ფრენბურთში — 160 ათასმა. შეჯიბრებებში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული მილიონი ფიზკულტურელი.

სპარტაკიადა იყო სპორტული ოსტატობის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვანი ეტაპი. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა შეჯიბრებაში სპორტის მილიონობით მოყვარული თანრიგოსანი გახდა.

სპარტაკიადის შეჯიბრებებში დამყარებულია 1274 რეკორდი, მათგან 20 მსოფლიო, 12 ევროპული დ 46 საკავშირო.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალურმა შეჯიბრებებმა, რომლებშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები მონაწილეობდნენ, ნიჭიერი ახალგაზრდობით შეავსო სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

IV სპარტაკიადისთვის მზადებისა და თვით ასპარეზობის პერიოდში განმტკიცდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მატერიალური ბაზა. მწყობრში ჩადგა ახალი სტადიონები, აუზები, სპორტის სასახლეები და სხვა სპორტული ნაგებობანი.

ამასთან, კავშირის ცენტრალური საბჭოს პლენუმმა აღნიშნა, რომ სპარტაკიადამ გამოავლინა სერიოზული ხარვეზები საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ყოფაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დანერგვის, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლების საქმეში.

კავშირისა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ბევრი საბჭო უმთავრესად რაიონების, ქალაქების, ოლქების ნაკრები გუნდების მომზადებით იყო დაკავებული და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სპორტულ შეჯიბრებებში მასობრიობის ზრდას, სპორტული ნაგებობების შექმნას, აუცილებელი ინვენტარითა და იარაღით ფიზკულტურული კოლექტივების მომარაგებას.

ამის გამო კვლავ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლია სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ჯერ ისევ დაბალი დონე პირველ ყოვლისა ფიზიკური კულტურის კოლექტივებში და რაიონულ სპორტულ ორგანიზაციებში, რის შედეგადაც შეჯიბრებებში მონაწილეობს ახალგაზრდობა, რომელიც სათანადოდ არ მომზადებულა სექციებში და ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებში.

რაიონებისა და ქალაქების ბევრ ფიზკულტურულ კოლექტივში სპარტაკიადის შეჯიბრებების ჩატარების კულტურის დონე დაბალია. ცენტრალურ საბჭოს მიაჩნია, რომ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა ბევრ მოკავშირე რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი ტაჯიკეთში, თურქმენეთში, მოლდავეთში, სომხეთში უკეთ უნდა იყოს დაყენებული. იკლო ესტონეთისა და ბელორუსიის სპორტსმენთა შედეგებმაც.

ჩვენს ქვეყანას დიდი შესაძლებლობები აქვს სათხილამურო და საციგურაო სპორტის განვითარებისთვის. მაგრამ სპორტული ორგანიზაციები, პირველ ყოვლისა, რსფსრ-ს, მოსკოვისა და ლენინგრადისა, ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ამზადებენ საერთაშორისო კლასის ოსტატებს.

საერთო მიზეზები საბჭოთა სათხილამურო სპორტსა და ციგურაობაში არსებული ხარვეზებისა, რამაც შარშანდელ მსოფლიო პირველობებში იჩინა თავი, არის მნიშვნელოვანი ნაკლი ახალგაზრდა სპორტსმენთა მომზადების წვრთნასა და მომზადებაში; ოლიმპიური მზადების დასაყრდენი პუნქტებისა და სპეციალიზებული ბაზების უქონლობა რუსეთის ფედერაციის ქალაქებში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში; მწვრთნელთა კადრების მომზადების დაბალი დონე; სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მზადებაში დაშვებული ორგანიზაციულ-მეთოდური შეცდომები.

ის გარემოება, რომ საბჭოთა მოციგურავე ქალებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავე პოზიციები დათმეს, რომ მნიშვნელოვნად იკლო მოთხილამურე ქალთა მიღწევებმა, პირდაპირი შედეგია უმაღლესი კლასის სპორტსმენთა არადამაკმაყოფილებელი მზადებისა პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებსა და „დინამოში", მოსკოვში, ლენინგრადში, გორკში, სვერდლოვსკში, ირკუტსკში, ნოვოსიბირსკში, ჩელიაბინსკში.

სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს სპორტული ნაგებობების გამოყენებისა და მოვლის საქმეში, ბევრი ბაზა ვერ იქცა სპორტული მუშაობის ჭეშმარიტ ცენტრად, მშრომელთა კულტურული დასვენების ადგილად. ეს ბაზები ცუდადაა მოწყობილი სრულფასოვანი სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და სპორტული შეჯიბრებებისთვის.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობისა და სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისთვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პროფკავშირთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა, „დინამომ", „შრომითმა რეზერვებმა", საბჭოთა არმიის სპორტულმა ორგანიზაციებმა. მაგრამ, როგორც სპარტაკიადის შედეგებმა გვიჩვენა, ბევრი ნებაყოფლობითი საზოგადოება სათანადოდ ვერ იბრძვის ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის. ფინალურ შეჯიბრებებში სუსტად იყვნენ წარმოდგენილი „ლოკომოტივისა" და „ვოდნიკის" სპორტსმენები.

ცენტრალური საბჭოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები სათანადოდ ვერ მუშაობენ სპორტსმენთა ოსტატობის დონის ამაღლებისთვის, ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა საჭირო რაოდენობით აღზრდას, რაც გარკვეულ სიძნელეს ქმნის ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა სპორტსმენთა მზადებაში.

სპორტის ბევრ სახეობაში, პირველ ყოვლისა, ცურვაში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში საბჭოთა სპორტსმენების შედეგები მკვეთრად ჩამორჩება მსოფლიო მიღწევებს. სპორტული საზოგადოებები სათანადოდ ვერ მუშაობენ ქვეყნის ნაკრები გუნდების რეზერვის მომზადებისთვის, არ იგრძნობა საჭირო ერთიანობა მოწინავე სპორტსმენებთან ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და ნაკრები გუნდების მუშაობაში.

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს V პლენუმი ადგენს:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სპორტულ ორგანიზაციებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შედეგების საფუძველზე მიიღონ კონკრეტული ზომები ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის.

ცენტრალური საბჭოს პლენუმს მიაჩნია, რომ ქვეყნის სპორტულ ორგანიზაციათა მუშაობა მიმართული უნდა იყოს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის ზრდის ამოცანების გადაჭრისკენ, რომლებიც წამოჭრილია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 11 აგვისტოს დადგენილებაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე.

კავშირის საბჭოებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მუშაობა მიმართულ იქნას ფიზიკური კულტურის კოლექტივების შემდგომი ორგანიზაციული განმტკიცებისკენ, სპორტულ სექციებში მომეცადინეთა რიცხვის ზრდისკენ. ამასთან, მთავარი ყურადღება მიექცეს მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და მოსწავლე ახალგაზრდობის რეგულარულ სპორტულ მეცადინეობას, მეცადინეობის ორგანიზაციისა და ჩატარების ხარისხს, შეჯიბრებებში მასობრივ და რეგულარულ მონაწილეობას, განსაკუთრებით, ხუთდღიანი სამუშაო კვირის პირობებში.

2. მიღებულ იქნას აუცილებელი ზომები უმაღლესი სპორტული ოსტატობის დონის შემდგომი ამაღლებისთვის, სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩამორჩენის აღმოფხვრისთვის.

ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაამუშაოს სპორტის ოსტატთა მზადების გეგმა 1969-1972 წლებისთვის, გაითვალისწინოს ყოველწლიურად 5000 სპორტის ოსტატის და 500 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადება ოლიმპიურ სახეობებში. ამასთან, აღმოიფხვრას ჩამორჩენა სათხილამურო სპორტსა და ციგურაობაში, მძლეოსნობისა და ცურვის ცალკეულ სახეობებში, ამაღლდეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ხარისხობრივი მაჩვენებლები სპორტის სხვა სახეობებში.

სპორტის ოსტატთა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მზადების პროფილურმა დაგეგმვამ და ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის საჭირო განვითარება ოლიმპიური პროგრამის ყველა სახეობაში, საბჭოთა სპორტსმენების წარმატება მსოფლიო პირველობებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

უმაღლესი კლასის სპორტსმენთა მომზადების საფუძველი ფიზიკური კულტურის კოლექტივები უნდა იყოს.

ამასთან, პლენუმი გამოთქვამს აზრს, რომ ჩვენს ქვეყანაში აუცილებელია სპეციალიზებული სკოლების სისტემის შექმნა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით.

პლენუმს აუცილებლად მიაჩნია სპორტული სკოლების მთელი სისტემის (ბავშვთა სპორტული სკოლა, ბავშვთა და ჭაბუკთა კომპლექსური სკოლა, ახალგაზრდობის სპორტული სკოლა, სკოლა-ინტერნატი სპორტული პროფილით) მუშაობის გაუმჯობესება, ხარისხის ამაღლება, მათთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური პირობების შექმნა (საკუთარი სპორტული ბაზა, თანამედროვე ინვენტარი, აღჭურვილობა და ა. შ.).

ამ სისტემის შემდგომი განვითარება მოითხოვს სპორტული სკოლების ზუსტ მემკვიდრეობითობას ასაკობრივი პრინციპით, პირველ ყოვლისა, დიდ ქალაქებში, რაც სპორტსკოლას მნიშვნელოვან როლს მიანიჭებს საბჭოთა სპორტსმენების ოლიმპიურ მზადებაში.

კავშირის საბჭოების, საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტული საზოგადოებების მონდომება მიმართული უნდა იყოს დიდ ქალაქებში ოლიმპიური რეზერვის მზადების ცენტრების შექმნისკენ ბავშვთა სპორტულ, ბავშვთა და ჭაბუკთა კომპლექსურ და ახალგაზრდობის სპორტულ სკოლებში შერჩეული კონტინგენტით.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო პირობების შექმნას სპორტული წვრთნის თანამედროვე მეთოდიკის განხორციელებისთვის, მის მატერიალურ უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით პლენუმი კავშირის რესპუბლიკურ საბჭოებს, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების საკავშირო საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტულ კომიტეტს, „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" ცენტრალურ საბჭოებს ავალებს მიიღონ აუცილებელი ზომები შესაბამისი სპორტული ბაზების შექმნისა და კეთილმოწყობისთვის, სპორტსმენთა წვრთნის უზრუნველსაყოფად.

პლენუმი კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს ავალებს: დაამუშაოს და ფართოდ განიხილოს საკავშირო შეჯიბრებებისა და პირველობების კალენდრის პროექტი 1969-1972 წლებისთვის; საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის პროექტი 1969-1972 წლებისთვის; სსრ კავშირის ხალხთა ზამთრისა და ზაფხულის სპარტაკიადების დებულების პროექტები. პლენუმი მხარს უჭერს საკავშირო ფედერაციების წინადადებას საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებების მონაწილეებისთვის ჩასათვლელ მოთხოვნათა გაზრდის თაობაზე.

3. კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა, პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საკავშირო საბჭომ, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტულმა კომიტეტმა, „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ უზრუნველყონ საბჭოთა სპორტსმენების მომზადების მაღალი დონე 1968 წლის ზამთრის X და XIX საზაფხულო ოლიმპიური თამაშებისთვის, უზრუნველყონ ნაკრები ოლიმპიური გუნდების, თვითეული ოლიმპიელი სპორტსმენის მზადების ინდივიდუალური გეგმის შესრულება და ოლიმპიურ თამაშებზე გაგზავნონ საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები, რომლებმაც ოლიმპიადებისწინა შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს მაღალი შედეგებით, საუკეთესო მორალური თვისებებით, სიმტკიცით, სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულებით. პლენუმი კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს ავალებს ყურადღება მიაქციოს სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ძირითადი შემადგენლობის მომზადებას, დაუქვემდებაროს ამ მზადების ამოცანებს შეჯიბრებათა შინა და საერთაშორისო კალენდარი.

პლენუმს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ, გაგრძელდება რა მუშაობა სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მოსამზადებლად, ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროში განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები სპორტის ბევრ სახეობაში, პირველ ყოვლისა, ცურვასა და მძლეოსნობაში; ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ერთობლივი მონდომებით რიგ დიდ ქალაქებში შეიქმნას სპეციალური ჯგუფები ცურვაში, მოკლე, საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში.

პლენუმი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კავშირის რესპუბლიკურმა საბჭოებმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ცენტრალურმა საბჭოებმა, საუწყებო ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უშუალო დახმარებით მიიღეს ზომები ქვეყნის ოლიმპიური გუნდების წევრებისთვის წვრთნის აუცილებელი პირობების შესაქმნელად. კავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა მომავალი ოლიმპიური თამაშებისადმი ინტერესი უნდა გამოიყენონ ფიზიკური კულტურის კოლექტივებში სპორტული მუშაობის ახალი აღმავლობით გასაშლელად ლოზუნგით: „ოლიმპიური წელი მარტო ოლიმპიელებისთვის როდია!"

ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად, სპორტსმენთა და მწვრთნელთა პატრიოტულ მოვალეობად 1968 წლის თამაშებში წარმატებით მონაწილეობა უნდა ჩაითვალოს.

4. პლენუმი კავშირის საბჭოებს აძლევს წინადადებას, რომ მათ მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, სახალხო განათლების რაიონულ, საქალაქო და საოლქო განყოფილებებთან ერთად უფრო ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისთვის.

აუცილებელია დახმარება გაეწიოთ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს და ფიზკულტურის კოლექტივებს ფიზიკური აღზრდის ქმედითი სისტემის შექმნაში. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ არა მარტო სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ფაქტორები, არამედ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის მთელი სისტემა, საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის დიდი გამოცდილებაც. ამ მიზნით აუცილებელია გაუმჯობესდეს სპორტულ-მასობრივი მუშაობა ყოველ სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივში.

პლენუმი იწონებს მოსწავლე ახალგაზრდობასთან ფიზკულტურულ მუშაობაში ქალაქ ლენინგრადის მოსკოვის რაიონის გამოცდილებას. ამ რაიონში ფართოდ გამოიყენეს მშობელთა და საზოგადოებრიობის დახმარება, რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოთა კადრები და მატერიალური შესაძლებლობანი.

პლენუმს უპირველეს ამოცანად მიაჩნია ყოველ სკოლაში სპორტულ ნაგებობათა მინიმუმის შექმნა, რაც სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიისა და სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 ივნისისა და 5 აგვისტოს ერთობლივი დადგენილებითაა განსაზღვრული.

5. პლენუმი კავშირის საბჭოებს, „ბურევესტნიკის" ცენტრალურ საბჭოსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კომიტეტებთან, აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღონ უმაღლეს სასწავლებლებში სპორტულ-მასობრივი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესებისთვის, საინსტიტუტო და ინსტიტუტთაშორისო შეჯიბრებების სისტემის სრულყოფისთვის, უმაღლესი სასწავლებლების სპორტული ბაზის განმტკიცებისთვის.

პლენუმი ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს ავალებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, პროფკავშირებთან, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად განიხილოს წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

6. ითვალისწინებს რა, რომ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის შემდგომი სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული კვლევის როლის გაზრდისა და სპორტულ პრაქტიკაში მეცნიერული მონაცემების ფართოდ დანერგვის გზით, პლენუმი სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოებს, ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებს ავალებს უფრო მაღალ დონეზე დააყენონ საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის აქტუალური პრობლემების მეცნიერული დამუშავება. აუცილებელია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესება, მეტი მიზანდასახულობის გამოჩენა ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემისა და სპორტის საბჭოთა სკოლის მეცნიერული პრობლემების კვლევაში, მოწინავე გამოცდილების უფრო სრულად განზოგადება. მოკავშირე

# ...ათა და ორგანიზაციების კავშირის ...ლენუმის დადგენილება

## ...სრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შედეგებისა და 1968 წლის ოლიმპიური ...ების მზადების ამოცანების გამო

...სპუბლიკების სპორტკავშირების საბჭოები ...ლდებული არიან სისტემატური დახმარება ...უწიონ ინსტიტუტებს თანამედროვე აპა...ატურითა და აუცილებელი მასალით უზ...რუნველყოფის საკითხების აქტიურად გადაწ...რაში.

7. სპორტული ნაგებობების შექმნისა და მა... ექსპლოატაციის მოწესრიგების მიზნით ...ლენუმი ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს ...ვ-ლებს კონკრეტული წინადადებების დამუ...შავებას შემდეგი საკითხების გათვალისწინე...ბით:

ა) სპორტულ ნაგებობათა უფრო რაციონა...ლური განლაგება სპორტის სახეობათა გან...ვითარების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ბ) ტიპობრივი დაპროექტების გაფართოე...ბა სპორტული წვრთნის თანამედროვე მო...თხოვნათა და მათი განვითარების პერსპექ...ტივების გათვალისწინებით;

გ) რესპუბლიკური და საკავშირო ნაკრები ...უნდების მზადებისთვის აუცილებელი კომპ...ლექსური და სპეციალიზებული სპორტული ...ნაგებობების შექმნა;

დ) სტადიონების, სპორტის სასახლეების, ...უზების და სხვა ნაგებობათა უზრუნველ...ყოფა აუცილებელი ტექნიკით, გამზომი ხელ...საწყოებით, ინვენტარითა და ალჭურვილობით.

8. კავშირისა და ნებაყოფლობითი სპორ...ტული საზოგადოებების საბჭოებს მიეცეთ წი...ნადადება აამაღლონ საგიტაციო-მასობრივი ...და პროპაგანდისტული მუშაობა უშუალოდ ...ფიზიკური კულტურის კოლექტივებში. ამ ...მიზნით ფართოდ გამოიყენონ კოლექტივებისთვის ისეთი ხელმისაწვდომი საშუალებები, ...როგორიცაა მრავალტირაჟიანი პრესა, კედ...ლის გაზეთები, ადგილობრივი რადიომაუწყებ...ლობა, ფოტოგამოფენები, ფოტოვიტრინები, ...საგიტაციო და მეთოდური პლაკატები, სპორ...ტული ბიბლიოთეკები, პრიზების გამოფენა, ლექციები და ზეპირი ჟურნალები, სპორტული ფილმების ჩვენება, შეხვედრები სპორტსმენებთან და გუნდებთან; განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშაობას სპორტულ შეჯიბრებათა მაყურებელთან.

სრულყოფილ იქნას სპორტული პრესისა და გამომცემლობის სისტემა, გაუმჯობესდეს იდეურ-თემატური მიმართულება, ამაღლდეს სპორტული პრესის ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლი, უფრო ფართოდ გაეწიოს პროპაგანდა სასწავლო-მეთოდურ ცოდნას, ორგანიზაციული და სპორტული მუშაობის მოწინავე გამოცდილებას. ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდისთვის ფართოდ იქნას გამოყენებული რადიო, კინო და ტელევიზია. პლენუმს მიაჩნია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტული შეჯიბრებების ჩატარების კულტურის ამაღლების საკითხს, სპორტსმენებთან, მსაჯებთან, მაყურებელთან აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საკითხს.

პლენუმი საკავშირო ფედერაციებს ავალებს აამაღლონ შეჯიბრებათა ჩატარების კულტურა, დანერგონ საუკეთესო სპორტულ ნაგებობათა და მსაჯთა კოლეგიის გამოცდილება ქვეყნის სპორტულ ასპარეზობათა მთელ სისტემაში იმ მიზნით, რომ ყოველი შეჯიბრება სპორტის ნამდვილი ზეიმი იყოს; იზრუნოს მსაჯთა კოლეგიის დონის გამუდმებული ზრდისთვის და სრულყოფისთვის.

9. ითვალისწინებს რა საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას სპორტული ოსტატობის ამაღლების საქმეში, პლენუმი ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ავალებს მიაღწიონ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებას მსოფლიო პირველობებში, ევროპისა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

უზრუნველყონ სპორტული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, მუშათა სპორტულ კავშირებთან, გააძლიერონ კონტაქტი აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სპორტულ ორგანიზაციებთან. თანმიმდევრულად იბრძოლონ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში პროგრესული ძალების გაერთიანებისთვის, საერთაშორისო სპორტული მოძრაობის შემდგომი დემოკრატიზაციისთვის.

10. პლენუმი კავშირისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს წინადადებას აძლევს გააძლიერონ კადრებთან მუშაობა, აამაღლონ სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ამ მუშაობის დონის გამო, უზრუნველყონ შტატიანი მუშაკების შემადგენლობის ხარისხი, შეარჩიონ კადრები მათი პოლიტიკური და შრომითი თვისებების მიხედვით.

აუცილებელია გამუდმებული ზრუნვა საბჭოების მუშაკების, მწვრთნელების, ფიზკულტურის ინსტრუქტორების, ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლების მწვრთნელ-მასწავლებლების, მეთოდისტების და სხვა ფიზკულტურული მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად. აუცილებელია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ქსელის გაფართოება, ოლქთაშორისო კურსებისა და მწვრთნელთა დაუსწრებელი სკოლების შექმნა, ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში მომუშავე სპეციალისტების მზადების ხარისხის ამაღლება, უმაღლეს სპორტულ ოსტატობასთან და ფიზიკური აღზრდის სისტემასთან დაკავშირებული დისციპლინების გადაცემის სრულყოფა, მეცნიერული კადრების მომზადების გაუმჯობესება.

ფიზკულტურული კადრების სწავლების უმნიშვნელოვანეს ფორმებად უნდა იქცეს ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებები, ფიზკულტურული კადრების დასხტატების ფაკულტეტები ფიზკულტურის ინსტიტუტებთან, ყოველწლიური კურსები, სემინარები და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები.

11. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოებმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებმა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა კომუნისტური მორალის უმაღლესი პრინციპების სულისკვეთებით, კოლექტიურობისა და შრომისმოყვარეობის გრძნობით, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით აღზრდის მიზნით; განუვითარონ სპორტსმენებს მაღალი პატრიოტული გრძნობები, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლისთვის, სიამაყე სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის მიღწევების გამო.

გადაჭრით ებრძოლონ ქედმაღლობას, უდისციპლინობას, უხეშობას, სპორტული რეჟიმის დარღვევის, უწესო მოქმედების მაგალითებს; ამ მიზნით გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების ყველა ზომა.

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს V პლენუმი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, საბჭოთა ორგანოების დახმარებით ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარების, საბჭოთა სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ამაღლების საქმეში, ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ საერთაშორისო შეჯიბრებებში და 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

## [illegible]

● ბევერვეიკი, 21 იანვარი. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ლენინგრადელი დიდოსტატი კორჩნოი ლიდერობას არავის უთმობს. IX ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ კარაკლაიჩთან, ხოლო რიგელ ტალთან წინა ტურში გადადებული პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა. კორჩნოის 8,5 ქულა აქვს. ლიდერს 3 ქულის ინტერვალით მისდევენ გეორგიუ (რუმინეთი) და პორტიში (უნგრეთი). ტალი ჩეხოსლოვაკიელ ჰორტთან 4,5-4,5 ქულით VI-VII ადგილებს იყოფს, მაგრამ საბჭოთა დიდოსტატს „მარაგში" 1 გადადებული პარტია აქვს.

● ბელგრადი, 21 იანვარი. სსრ კავშირის მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები არ აპირებს სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პირველი პრეზიდენტის ემილ გრემის სახელობის თასის დათმობას. საბჭოთა სპორტსმენებმა მიმდინარე ტურნირის აქ გამართულ მატჩში დაამარცხეს იუგოსლაველები — 10:1. ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა გაიმართება ივნისში ბელგრადს.

● მოსკოვი, 21 იანვარი. ბურთიანი ჰოკეის საკავშირო ჩემპიონატში კვლავინდებურად ლიდერობენ სვერდლოვსკის არმიელები (31 ქულა 18 მატჩის შემდეგ) და ადგილობრივი დინამოელები (28 ქულა 19 შეხვედრის შემდეგ).

● დელი, 21 იანვარი. დასასრულს უახლოვდება გრუნტიან კორტებზე ინდოეთის ღია ჩემპიონატი. დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა ნახევარფინალურმა მატჩებმა. სსრ კავშირის ჩემპიონმა მეტრეველმა ანგარიშით 6:4, 8:6 დაამარცხა ცნობილი ინდოელი ჩოგბურთელი მუკერჯი, ხოლო რუმინეთის ჩემპიონმა ცირიაკმა — ინდოეთის მეორე წარმომადგენელი ლალა.

● მოსკოვი, 21 იანვარი. ადგილობრივ და ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენთა ამხანაგურმა საერთაშორისო შეჯიბრებამ ყინულზე მოტორბოლაში წარმატება მოუტანა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტს ვ. კოტოვს, რომელმაც აჯობა სახელგანთქმულ სტუმარს ა. შვარცს.

● ლენინგრადი, 21 იანვარი. დღეს აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება ყინულზე მოტორბოლაში. აქაურმა სპორტსმენებმა ფინეთის ნაკრებს უმასპინძლეს. სპორტის ოსტატმა ვ. ლეონოვმა ყველა სერია მოიგო და, ცხადია, პირველობაც მოიპოვა.

● მოსკოვი, 21 იანვარი. ნორჩ პიონერთა მძლეოსნურ მანეჟში გამართულ საკავშირო ტურნირში რამდენიმე კარგი შედეგი იქნა ნაჩვენები: გ. მიტროხინამ 100 მ 11,8 წამში გაირბინა, ბ. პუშკარიოვამ 168 სმ სიმაღლე დაძლია, ო. რაიკომ 1500 მ 3 წუთსა და 54,3 წამში გაირბინა. ჭოკით ხტომა მოიგო სსრ კავშირის რეკორდსმენმა გ. ბლიზნეცოვმა, რომელმაც 5 მ გადალახა. ახალგაზრდა ი. ხანაფინი მას 10 სანტიმეტრით ჩამორჩა.

● ლენინგრადი, 21 იანვარი. მძლეოსანთა ზამთრის საქალაქო შეჯიბრებაში, რომელიც ადგილობრივ მანეჟში ჩატარდა, ვ. მოლჩანოვმა 200 მეტრზე რბენაში იუნიორთა საკავშირო მიღწევა დაამყარა დახურული შენობებისთვის — 22,4.

## ნახევარფინალები

სტუდენტთა ზამთრის არდადეგების დღეებში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭო ატარებს სპორტსაზოგადოების ვაჟთა და ქალთა საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალურ შეჯიბრებებს, რომლებშიც ჩვენებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ვაჟთა ტურნირებში ითამაშებენ: ჩელიაბინსკში — ოსტატი თ. კიკიანი, ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე; ალმა-ათაში — ოსტატობის კანდიდატი ს. მეგრელიშვილი; ლენინგრადში — ოსტატი ა. ბოკუჩავა; ქალთა შეჯიბრებაში გამოვლენ: ლენინგრადში — მ. ჩომახიძე, ჩელიაბინსკში — თ. ხუგაშვილი, ნ. ჩიქობავა. ჩელიაბინსკისა და ალმა-ათის ტურნირებიდან ფინალში სამ-სამი გამარჯვებული დაიშვება, ლენინგრადიდან — ხუთ-ხუთი.

ყველა ნახევარფინალური შეჯიბრება 26 იანვარს დაიწყება.

## XX სპარტაკიადა...

ბათუმის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს ქალაქის მოსწავლეთა XX საიუბილეო სპარტაკიადა. ასპარეზობის პროგრამაშია ჭადრაკი, ჭილოსპორტი, თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, კრივი და სპორტული ტანვარჯიში.

ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ერთ კვირას გრძელდებოდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელშიც 18 ფიზკულტურული კოლექტივი მონაწილეობდა.

II თანრიგის პროგრამით მოასპარეზე ჭაბუკებში პირად ჩათვლაში ყველას აჯობა მე-5 სკოლის შეათვკლასელმა ნ. კოზმოვმა. ნოდარმა 107,35 ქულა დააგროვა და პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

პირველთანრიგოსან გოგონებში უძლიერესი იყო მე-20 სკოლის მოსწავლე ნ. კახიძე, ხოლო ჭაბუკებში გამარჯვება მე-10 სკოლის მოსწავლე ი. კაზაკს ხვდა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზეებში საუკეთესო იყო მე-4 სკოლის წარმომადგენელი ვარდო ქლენტი.

გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მე-20 სკოლის გუნდი. II ადგილზეა მე-7, III — მე-5 სკოლა.

ქალაქის ცენტრალურ საჭადრაკოსაშაშო კლუბში მოჭადრაკეები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 24 გუნდი ოთხკვეჯგუფად იყო დაყოფილი (თვითეული გუნდის შემადგენლობაში 2 ჭაბუკი და 1 გოგონა შედიოდა).

ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს მე-4, მე-15, მე-16 და მე-17 სკოლების ნორჩებმა. ჩემპიონობა 6 ქულით დაისაკუთრა მე-15 სკოლის გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც ა. პასკო, ჯ. ვოდოლაზკო და ნ. ფურმანი იყვნენ. 4,5 ქულით II ადგილზეა მე-16 სკოლის გუნდი. III ადგილი დაიკავა მე-4 სკოლის კოლექტივმა (4 ქულა).

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებული გუნდის წევრი ლ. ანფინოგენოვა ძელზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. ქებაბჩიანისა.



## ავსტრიის საგზურებისთვის

მოსკოვი, 22 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ივლისში ავსტრიის ქალაქ იბსში სტუდენტ მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი უნდა მოეწყოს. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ გადაწყვიტა მანამდე ჩაატაროს ჩვენი ქვეყნის სტუდენტთა პირველობა, რომლის შედეგების მიხედვითაც დაკომპლექტდება ავსტრიის შეჯიბრების მონაწილე საბჭოთა გუნდი (6 კაცი).

სტუდენტთა პირველობაში, რომელიც 25 იანვარს დაიწყება ოდესაში, მიწვეული არიან ი. ბალაშოვი (მოსკოვი), ა. ლუკინი (ლენინგრადი), ლ. გრიგორიანი (ერევანი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), გ. კუზმინი (ლუგანსკი), ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) და სხვ.

ამ ტურნირში მიიწვიეს საქართველოს ოსტატებიც — რესპუბლიკის ჩემპიონი რ. ჯინჯიხაშვილი და თ. გიორგაძე (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ოსტატობის კანდიდატი ე. უბილავა (უნივერსიტეტი). ოდესაში ჩვენების მწვრთნელი იქნება ოსტატი ბ. გურგენიძე.

ტურნირი, რომელშიც 16 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, 15 თებერვლამდე გასტანს.

## რა შეიძლება მომხდარიყო?

კარგად თამაშობდა ი. კუპერმანი მსოფლიო პირველობაზე მატჩის IV პარტიაში, რომელშიც ანდრეიკოს რთული პრობლემები დაუსახა გადასაჭრელად.

კუპერმანის (შავები) 26-ე სვლის შემდეგ ასეთი პოზიცია შეიქმნა:



ანდრეიკოს მდგომარეობა აშკარად უარესია. იგრძნობა ორივე ფლანგის დამაკავშირებელი 47 და 48 შაშების უქონლობა, რამდენადმე ჩამორჩა შაში 46.

ანდრეიკომ ითამაშა 27. 46-41.

კუპერმანმა მოულოდნელად უპასუხა 27. ...1-6?

რა მოხდა? რატომ გააკეთა მსოფლიო ჩემპიონმა ეს სუსტი სვლა?

საჭირო არ არის იყო დიდოსტატი, რომ მიხვდე: შაში 6 ბევრ უსიამოვნებას მიაყენებს შავებს. სჯობდა, მაგალითად, 27. ... 11-17 პოზიციის გაძლიერებით. თურმე კუპერმანი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით მიუდგა საქმეს. მან ანდრეიკოს ბუნებრივ გაგრძელებაზე — 27. 35-30 14-19 28. 38-33 9-14 29. 42-38 ფენომენალური დარტყმა მოამზადა: 29. ... 23-28!!

როგორ მოიქცნენ თეთრები ამ შემთხვევაში? თუ 30. 32:23, მაშინ 30. ... 19:28! 31. 33:22 16-21 32. 27:7 18:27 33. 7:20 15:31 სრული განადგურებით. საქმეს არც სხვა ვარიანტი შველის: 30. 33:22 16-21 31. 27:7 18:27 32. 7:20 15:31 33. 32:21 31-37 და გარღვევა გარდუვალია.

ეს კომბინაცია ჩაიფიქრა მსოფლიო ჩემპიონმა. მაგრამ ანდრეიკოს 27-ე სვლამ უვნებელყო კუპერმანის კომბინაცია, ხოლო თვით ჩემპიონი წონასწორობიდან გამოიყვანა. ამით უნდა ავხსნათ მისი სუსტი 27-ე სვლა.

ვ. გოროდეცკი,
დიდოსტატი.

# ალიმართა უნივერსიადის ალამი!

**ინსბრუკი, 21 იანვარი.** ადგილობრივ ყინულის სტადიონზე IX თეთრი ოლიმპიადის შემდეგ 4 წელიწადი გავიდა. და აი, დღეს კვლავ აფრიალდა სახელმწიფოთა ალმები, სადღესასწაულო მარშის დროს კი სხვადასხვა კონტინენტის სპორტსმენთა მრავალფეროვანმა ტანსაცმელმა ფერთა საუცხოო გამა შექმნა. ოლიმპიურ სტადიონებსა და ტრასებზე მოვიდა ახალი სტუმარი — ზამთრის უნივერსიადა...

მაშ ასე: სადღესასწაულოდ აღიმართა ალამი უნივერსიადისა, რომლის შეჯიბრებები... უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს. აი, ჰოკეისტთა გუშინდელი მატჩების შედეგები: სსრ კავშირი — ფინეთი 8 : 0, კანადა — ავსტრია 10 : 1.

მოგვყავს უნივერსიადის მომდევნო დღეების პროგრამა: **22 იანვარი** — ციგურებით სწრაფრბენა (500 და 3.000 მ), ჰოკეი; **23 იანვარი** — მოთხილამურე ქალთა რბოლა 10 კილომეტრზე, ციგურაობა (1.500 და 5.000 მ), სწრაფდაშვება (ქალები), 60-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა, ჰოკეი; **24 იანვარი** — სათხილამურო რბენა 15 კილომეტრზე (მთხილამურეთათვის და ორჭიდელთათვის), სლალომი (ქალები); **25 იანვარი** — ქალთა ესტაფეტა 3×5 კილომეტრზე, სწრაფდაშვება (ვაჟები), ჰოკეი; **26 იანვარი** — ვაჟთა ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე, სლალომი-გიგანტი (ვაჟები), ჰოკეი; **27 იანვარი** — სლალომი (ვაჟთა შესარჩევი შეჯიბრება), სლალომი-გიგანტი (ქალები), ჰოკეი; **28 იანვარი** — ვაჟთა სლალომის ფინალი, ჰოკეი, უნივერსიადის საზეიმო დახურვა.

# აშკარა უპირატესობით

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კრივში. ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს „ბურევესტნიკის" ნაკრები და ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის (ტულ) გუნდი. 10 წონიდან სტუმრებმა წარმატებას მხოლოდ ერთში — ქვემძიმეში მიაღწიეს; დანარჩენი ორთაბრძოლები მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა.

რ. რატიანმა ადვილად მოუგო ლ. ნეუვონენს. მ. არუთიუნოვმა პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო პ. ოლიკაინენი. გ. ვარდარიანის უპირატესობა ჰ. ფიარლინგთან შეხვედრაში აშკარა იყო: ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყდა. ზ. გვაჯავამ ქულებით დაამარცხა ტ. ტუომინენი, ვ. ცერცვაძემ — მ. ჰეინო, მ. სვანიძემ — პ. ვარტიკაინენი, ნ. გარაბაჯიმ — ე. ტაიპალე.

II საშუალო წონაში მ. მამამთავრიშვილმა პირველი რაუნდის მეწურულს უძლიერესი დარტყმით ძირს დასცა ტ. ვარტიკაინენი. გამოცდილმა მსაჯმა ე. ოგურენკოვმა ბრძოლა შეწყვიტა.

ერთადერთი ქულა სტუმრების გუნდს მოუტანა პ. რაიტანენმა, რომელმაც თანაბარ ბრძოლაში სძლია ნ. კირთაძეს.

მძიმეწონოსანთა (ვ. კლიუჩნიკოვი— ე. ვეპსია) „დუელში" საქართველოს გუნდის წევრის უპირატესობა განსაკუთრებით გამოიკვეთა მესამე რაუნდში.

ე. ქელბაქიანი.



ჰ. ფიარლინგი



პ. ვარტიკაინენი



ე. ვეპსია

მეგობრული შარჟები შ. შანიძისა.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დაუსწრებელი ბრძოლა და უთანაბრო პირობები

ჩვენი კომენტარი

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ავანსცენას დროებით ჩამოცილდა კაუნასის „ჟალგირისი". ამჟამად მძაფრი დაუსწრებელი ბრძოლაა გაჩაღებული კიევის არმიელთა და თბილისის დინამოელთა შორის. ამ ბრძოლაში ასკ-ს უკეთესი პირობები აქვს: იგი შინ თამაშობს, თბილისის „დინამო" კი გამოცდას იჭერს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, სადაც კალათბურთი № 1 სპორტია.

ჩვენი გუნდის მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ლ. ინწკირველმა თბილისიდან ხანგრძლივ ტურნეში გამგზავრების წინ თქვა: „ჩვენი მიზანია, შინ პასიური ბალანსით არ დავბრუნდეთ. ისე კი შევეცდებით მეტი შეხვედრა მოვიგოთ და ნაკლები წავაგოთ".

პროგრამის პირველ ნაწილს „დინამო" წარმატებით ასრულებს. ლენინგრადისა და ტარტუს მატჩების შემდეგ მისი „აკადემიური" მოსწრება დამაკმაყოფილებელია (50-პროცენტიანი).

„დინამომ" მოიგო მეორე შეხვედრა ტარტუში — 64:58 (24:30), თუმცა ამჯერად მას გამარჯვების ნაკლები „უფლება" ჰქონდა. პირველ მატჩში თბილისელთა წარმატება ეჭვს არ იწვევდა, გამარჯვება კი ესტონელებს დარჩათ. მეორე დღეს „კალევი" საბრძოლოდ იყო განწყობილი და ინიციატივასაც ფლობდა, მაგრამ... დამარცხდა. როგორც ხედავთ, გულის დაწყვეტის საბაბი არც ერთ გუნდს არა აქვს.

„ჟალგირისის" „შავი დღე" გრძელდება. ჩემპიონატის ექს-ლიდერი უკვე მესამე გასვლით მატჩს აგებს. თუ ასეთი „ტემპით" განაგრძო, იგი შესაძლოა, საპრიზო ადგილზე გასვლის იმედსაც კი გამოეთხოვოს, ვინაიდან გუნდს 1 მარტამდე არც ერთი შეხვედრა არა აქვს შინ ჩასატარებელი. ამ ხნის განმავლობაში სატურნირო ცხრილი უდავოდ ძირფესვიანად შეიცვლება.

კიევის არმიელებმა ლიდერობა დაიბრუნეს და ახლა უკვე შეხვედრას შეხვედრაზე იგებენ. თბილისში დატოვებული 4 ქულა, რამაც ისინი კარგა ხნით მეწყობრიდან გამოიყვანა, მხოლოდ უსიამოვნო მოგონებად დარჩა. გუნდმა, როგორც ამბობენ, იპოვა თავისი თავი და ახალი ძალით ათამაშდა.

აი, ბოლო შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (ბაქო) 87:69, 97:88; ასკ (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 65:52.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ასკ (კიევი) | 15 | 11 | 4 | 1051—1001 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 10 | 4 | 1009—925 | 10 |
| ცსკა | 14 | 9 | 5 | 898—846 | 9 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 14 | 9 | 5 | 926—903 | 9 |
| ვეფ (რიგა) | 18 | 9 | 9 | 1318—1278 | 9 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 13 | 8 | 5 | 956—893 | 8 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 14 | 8 | 6 | 996—967 | 8 |
| „კალევი" (ტარტუ) | 14 | 7 | 7 | 898—901 | 7 |
| ასკ (რიგა) | 16 | 6 | 10 | 1141—1165 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 10 | 5 | 5 | 630—622 | 5 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 14 | 2 | 12 | 1022—1162 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 14 | 1 | 13 | 949—1126 | 1 |

# პირველი გოლები

თბილისის „დინამოს" სტადიონმა გუშინწინ წლევანდელი საფეხბურთო სეზონის პირველი მაყურებლები მიიღო: აქ შედგა საწვრთნელი მატჩი თბილისის გუნდებს — „დინამოსა" და „ლოკომოტივს" შორის.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: **„დინამო"** — გოგია, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, კანთელაძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, მეტრეველი (მესხი), ილიადი, გავაშელი, ქიქავა, ლ. ნოდია; **„ლოკომოტივი"** — გრძელიშვილი, პანოვი, ფრიდმანი, ონიანი, მირიანაშვილი, გვასალია, ძაგანია (ჭეიშვილი), ჰელიძე, მიქაშავიძე, ღოღობერიძე (მჭედლიშვილი), მესხაძე (მელიქიძე). მატჩს სჯიდა თბილისელი არბიტრი ა. ვარდიაშვილი.

როგორც ხედავთ, დინამოელებს შეემატნენ მეკარე გოგია (გორიდან), მცველი ძოძუაშვილი (ქუთაისიდან). თავდამსხმელი ქიქავა (ბათუმიდან). კოლექტივს დაუბრუნდა ნახევარმცველი ილიადი. ახალი ფეხბურთელები არიან „ლოკომოტივშიც", რამაც, ჩვენი აზრით, საგრძნობი კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა გუნდის თამაშზე.

მატჩი საკმაოდ საინტერესოდ, მაღალ ტემპში ჩატარდა. დინამოელებს შესვენებამდე თვალსაჩინო ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ და გრძელიშვილს რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა.

ანგარიში გაიხსნა 32-ე წუთზე. „დინამომ" რამდენიმე სწრაფი შეტევა გაითამაშა მარჯვენა ფრთაზე, რის შემდეგ მეტრეველმა საჯარიმო მოედანზე მიაწოდა ბურთი, რომელიც თავით გაგზავნა კარში გავაშელმა — 1:0.

შესვენების შემდეგ გააქტიურდა „ლოკომოტივი" და თამაში ჩაება გოგია. მატჩის დასასრულს ჰელიძის გარღვევა დამთავრდა ზუსტი დარტყმით და საპასუხო გოლით— 1:1.

ჯ. ვაჩიბერიძე.

* * *



**ს უ რ ა თ ზ ე:** განვლილი მატჩის მომენტი. გარღვევაზეა მ. მესხი.

ფოტო ა. კოტრაშვილისა.

## თასის განრიგი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის თასის გათამაშების განრიგი.

მეთექვსმეტედფინალის მატჩები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ „ა" კლასის I ჯგუფის გუნდები, შედგება 27-28 ივნისს. მერვედფინალები გაიმართება 22-23 ივლისს, მეოთხედფინალები — 6 აგვისტოს, ნახევარფინალები — 26-27 აგვისტოს. ხოლო ფინალი — 8 ნოემბერს მოსკოვში.

თბილისის „დინამოს" პირველი მეტოქეა როსტოვის არმიელთა გუნდი, ქუთაისის „ტორპედოსი" — ლუგანსკის „ზარია".

## ორივე მატჩი — მარტში

**ბერნი,** 22 იანვარი. მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელები მეტოქის მინდორზე თავიანთ პირველ მეოთხედფინალურ მატჩს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე „კარდიფ-სიტისთან" ითამაშებენ 6 მარტს და არა 28 თებერვალს, როგორც ეს ადრე იყო გადაწყვეტილი.

საფეხბურთო ასოციაციათა ევროპული კავშირის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაიტანა მატჩის თარიღი, ვინაიდან სწორედ 28 თებერვალს ხვდება უელსის ნაკრები (სადაც „კარდიფ-სიტის" ბევრი ძირითადი მოთამაშე გამოდის) ევროპის ჩემპიონატის მატჩში ირლანდიის ეროვნულ გუნდს.

უელსელებთან „ტორპედოს" საპასუხო მატჩის თარიღი უცვლელია: 19 მარტი, ტაშკენტი.

# ასპარუხოვი იუგოსლავიაში

იუგოსლავიური გაზეთები აქვეყნებენ სენსაციურ ცნობას იმის შესახებ, რომ ბულგარეთის № 1 ფეხბურთელი გ. ასპარუხოვი ამიერიდან იცხოვრებს სპლიტში, სადაც ზღვაოსნობის უმაღლეს სკოლაში აპირებს სწავლას. ამავე დროს ასპარუხოვი სპლიტის ცნობილ კლუბ „ჰაიდუკში" ჩაირიცხება და იუგოსლავიის I ლიგაში ითამაშებს.

ასეთი ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელის დაკარგვა დიდი დარტყმაა სოფიის „ლევსკისთვის", რომელიც ბოლო წლებში ბულგარეთის ჩემპიონობისთვის იბრძვის. რაც შეეხება ბულგარეთის ნაკრებს, მას ასპარუხოვი არ გამოეთხოვება — მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატის მატჩებში.

# პროტესტი დააკმაყოფილეს

რიგასა და ბაქოში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა 30-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შეხვედრები. როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვის „დინამომ" გააპროტესტა როსტოველ არმიელებთან მატჩის შედეგი (მეოთხე პარტიაში მოსკოველთა მოგებული ქულა, რომელსაც უნდა დაემთავრებინა ეს პარტია და მთელი მატჩიც, შეხვედრის ოქმში შეცდომით როსტოველებს ჩაუწერეს). მსაჯთა კოლეგიამ მოსკოველთა პროტესტი დააკმაყოფილა: ამრიგად, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა. რიგის ჯგუფში 9-9 ქულით I-II ადგილებზე არიან ადგილობრივი „რადიოტექნიკი" და ტალინის „კალევი". III ადგილზეა კიევის „ლოკომოტივი" (8), IV-V — მოსკოვის „დინამო" და როსტოვის ასკ (7-7), VI — ოდესის „ბურევესტნიკი" — 5 (მოგებისთვის გუნდს ეწერება 2 ქულა, წაგებისთვის — 1).

ბაქოს ჯგუფში ბოლო დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: ცსკა—„ბურევესტნიკი" (მინსკი) 3:1, „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (მოსკოვი) 3 : 1, „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) 3:2. აქ 9-9 ქულა დააგროვეს ბაქოელებმა და ალმაათელებმა, 8 — ხარკოველებმა, 7-7 — ცსკა-მ და მოსკოვის „ბურევესტნიკმა", 5 — მინსკელებმა.

## უცხოეთის ჭადრაკის ამბები

*ვუკოვარი (იუგოსლავია).* იუგოსლავიისა და უნგრეთის ჭაბუკთა გუნდების საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 12,5 : 7,5. მსოფლიოს ჭაბუკთა ექს-ჩემპიონი კურაიცა დამარცხდა (0,5:1,5) იოხასთან.

*ჰააგა.* აქ გაიმართა ჭაბუკთა საერთაშორისო გუნდური ტურნირი ინგლისის, გფრ-ის, დანიის, ჰოლანდიის, შვეიცარიის, ავსტრიის, ლუქსემბურგისა და ბელგიის მოჭადრაკეთა მონაწილეობით. I ადგილი დაიკავეს ინგლისელებმა (21 ქულა 28-დან). გამარჯვებულთა გუნდში იყვნენ ოსტატები ჰარსტონი, კინი, უაიტლეი და პერკინსი.

*დუბლინი.* ირლანდიის ვაჟთა ჩემპიონი გახდა ოსტატი ჰეიდენფელდი.

*ციურიხი.* შვეიცარიის ჩემპიონატში მონაწილეობდა 9 მასპინძელი და 1 სტუმარი: ირანელი ოსტატი მაშიანი, რომელიც ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებადაა ჩამოსული. სწორედ მან დაიკავა I ადგილი (7 ქულა 9-დან), მაგრამ ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა საერთაშორისო ოსტატ ბლაუს (6,5).

# ფინალში — კონგო (კინშასი) და განა

**ადის-აბება, 21 იანვარი.** გაიმართა ნახევარფინალური მატჩები აფრიკის საფეხბურთო თასზე. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ეთიოპიისა და კონგოს (კინშასა) ნაკრები გუნდები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს კონგოელებმა, რომლებიც ფინალში გავიდნენ.

ეთიოპიის მეორე ქალაქში — ასმარში ითამაშეს განისა და სპილოს ძვლის ნაპირის ნაკრებმა გუნდებმა. ამ წყვილიდან ფინალში გავიდნენ განელები, რომლებმაც მწვავე ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს მეტოქე — 4:3.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი ლენინის ქ. № 14.

8 უე 07326